

კანცეროგენებისათვის პირველად სამიზნეს წარმოადგენს უჯრედის პლაზმური მემბრანა და არა უჯრედის გენომი. კანცეროგენების პირველ სტადიაზე (ინიციაცია) ერთი და იგივე ორგანოს ან ქსოვილის ორმა ნორმალურმა სომატურმა უჯრედმა შეიძლება წარმოქმნას დიკარიონები, ისევე როგორც არასიცოცხლისუნარიანი პოლიკარიოციტები. მას შემდეგ რაც სხვადასხვა კანცეროგენური აგენტები და ფაქტორები უჯრედის პლაზმურ მემბრანებში წარმოქმნიან პერფორაციებს, ამ ორგანოიდების ტოტალური ნეგატიური მუხტი ქვეითდება და უჯრედები იძენენ ერთმანეთთან კონტაქტის (ადჰეზიის) უნარს, რაც ხშირად, განსაკუთრებით კი პერფორირებული უბნების თანხვედნისას, შეიძლება გახდეს ფუზოგენური პროცესის წინაპირობა. ჰეტერო- ან ჰომოკარიონების ბირთვების სინქრონული მიტოზის ან მათი მექანიკური გაერთიანების შემთხვევაში, წარმოქმნიან ქრომოსომების ტეტრაპლოიდური კომპლექტის მქონე ჰიბრიდული მონონუკლეარები – პრეკანცეროზული უჯრედები. გარდა კიბოს უჯრედის ჰიბრიდული ბუნების დამადასტურებელი მონაცემებისა, ამ შრომაში გაკეთებულია მცდელობა, გასცეს პასუხი თანამედროვე ონკოლოგიის ზოგიერთ მნიშვნელოვან და აქამდე პასუხგაუცემელ კითხვებს.

